ამით ერთსულ კიდევ დამტკიცდა, რომ საფრანგეთის მთავრობა რესპუბლიკის დასის აზრს უნდა აჭყვეს, რადგანაც იგი პალატის უმრავლესობას შეადგენს. ჯერ მართლაც ის გარემოება რომ უფლისძემონი რესპუბლიკელთა წინადადებას მიუდგას ამტკიცებს, რომ რესპუბლიკა თან და თან უფრო იქნეს იმპერატორს საფრანგეთში. უფლისძემონი იმისთანა კაცი არ არის, რომ ამ შექმნისთვის მართლაც იდეას აჭყლელდა და თავისი პირადი სატყუბლობა დავიწყებისთვის მიეცა. ავია უფლ-სამონი თუ ვარცა, იმედუნა გონიერება კი აქვს, რომ რესპუბლიკას ცხადი წინააღმდეგობა არ გამოუჩინოს, რადგანაც ხალხის წარსამადგენელთა უმრავლესობა რესპუბლიკელია. უბედურება ეს არის, რომ ამოდუნა გონიერება დემოკრატის მაკ-მაგონისთვის არ მიუცია. პარიზიდან მოსული დეპუტე გვანცობებს, რომ მაკ-მაგონს უფლისძემონთან წიგნი მიუწერია, რომლითაც სამდურავი გამოუცხადებია უფლისძემონისთვის, — სამინისტრო საბჭოში ერთს ამბობდით და პარლამენტში კი სრულყოფით სხვა ჭსტაქობა. ამ წიგნის მიხედვით უფლისძემონი და ზოგიერთი სხვა მინისტრები სამსახურიდან გამოსულან. გარდა ამისა მაკ-მაგონს დეპუტატთა პალატისა და სენატისათვის გაუგზავნია შემდეგი წერილი: რესპუბლიკელი კაბინეტები დიუფორისა*) და უფლისძემონისა ამოდ სწდილობდნენ მტკიცედ მოემსროთ დეპუტატთა პალატის უმრავლესობა. რესპუბლიკის პრეზიდენტს არც სინდისი და არც სამშობლოს მოყვარება ნებას არ აძლევს კიდევ გზა მიჭსტეს ამა უმრავლესობასა. რადიკალების განმდიერება საფრანგეთის დელეგატს არისა, და სხვანი.

გარდა ამისა მეორე დეპუტე გვანცობებს, რომ უფლისძემონის მაგივრად სამინისტროს მოთავედ ჭერცობი ბრელი იქმნება. რა ნაიბი კაცია ეს ბრელი, ამის შემდეგში მოგასხსენებთ, ესლა კი ამის ვიტყვი რომ იგი უოკლეს გეარს მთავრობასა შეიშენებს და რესპუბლიკის მთავრობას კი არა. აქ შესანიშნავი ის არის, რომ მაკ-მაგონმა ვერა იყერი პატივი სცა რესპუბლიკას, რომლის მოთავედ თვით ირიცხება. დეპუტატთა პალატის უმრავლესობას გზას ველარ მივცემო, — მაშ რიდას რესპუბლიკა უოფილა, თუკი მისი მოთავე ხალხის წარმომადგანელთა უმრავლესობას გზას არ მისცემს? თუ თავის ხალხის სურვილს არა, მაშ თოფსა და ხმალს გაუსხნის გზას მაკ-მაგონი, როგორც ეტყობა. ესლა ავლად საფრანგეთს! ეს ამბავი უოკლად დირსია უფრადლებისა.

ფრილი ამბები. ინგლისიდან ფინანსთა მინისტრს, ნორტოკოს, გლადსტონის წინადადების შესახებ შემდეგი

*) ლუგორი უფლისძემონის წინეთ იყო სამინისტროს მოთავედ.

უთქვამს პალატში: კიდევ ინგლისის სატყუბლობას ვნებას არ ვინ არ მისცემს ეს იგი, კიდევ ინდოეთის გზას არ შეესებან, ინგლისს არავითარი საბუთი არ ქნება, რომ მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის რაში.

— გლადსტონის წინადადება უარ-უყვია პალატს, — 354 წევრს შავი კენჭი ჩაუგდია და 223 თეთრი.

საბერძნეთი დიდ მხადებაშია რამინობისათვის, თუმა ინგლისი უოკლ დონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე დაუშალოს რაში გარევა.

— ათინიდან აწერებინ, რომ თუ საბერძნეთი რამს არ გამოუცხადებს რამაღეთსა, ხალხი უთოოდ ავანუდება. კანდაშიაც ავანუება უჭკველია.

— რუმინიბ მთავრობას თავისი დამოუკიდლობა და რამი გამოუცხადების რამაღეთისათვის, პალატს ათი მილიონი გადაუღვია რამისათვის.

— ავსტრი-ვენგრისის ნეიტრალიტეტი გამოუცხადებია.

— სერბია დიდ მხადებაშია რამინობისათვის. მისი კნაზი რჩ წყალ შუა დგას, რადგანაც რამი არ უნდა და სსკები კი მისდგომიან რამი გამოაცხადო არ ტასტიდან გადადგო. ამბობენ რომ მილანი მართლაც ტასტიდან გადადგომას აპირობს.

თ. ალექსანდრე ჰავაჰაჰაძის ლექსნი.

I

ისმინეთ, მსმენო, ჭიჭითა-მთქენო, მომიპყარო უფრნი, რაკვარნი ჭიჭნი, ცუცხლი სშიწნი, მწველნი აღმურნი კნახენით რასა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი.. წვეულ-არს ის დრო, რას სამკვიდრო დაკვარგეთ ვრულნი, ტკლივა სოფელმან სელ-მყოფელმან აწ გავო შურნი...

უწით უოკლთა მახლობელთა მამულნი მათნი, მუნა მყოფელნი, უოკლ-მშოფოთველნი, სიტყვა ლაქათნი, ცხოვრება ცუდნი, გულითა მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი, აქესთ უოკლთვის სელად სჯულად ძველად საფრსე, სც-თურნი...

გემლივა სოფელმან სელ-მყოფელმან აწ გავო შურნი... ქავთ უოფა-ქცვა, ჭამა, სმევა აქესთ არეულად, დიდნი მცირენი, გინა ერნი სელ-ჭყოფენ მგულრად, ბატონ-უმობანი, განჩქეკანი არა აქესთ სრულად;

მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დახმდითა გულთა ჭსწუჯენ
მტრულად

კაცთა მკილავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი.—
გვძლივს სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შუენი...

ვინც ჭსვდა მათ მასეს, ჭირთა სახეს აწა აქვს შეება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება;

ერთგულთა ჯილდო, გულთ-საბინდო მიხვდება სვება,
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...

მუნთლად გვაწვივებს, დაგვასვივებს თავს ბნელნი ბურნი.
გვძლივს სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შუენი.

ნახეთ მოყვასნა, შრქნთა დასნა, ესე წესია:
შემდგომ საცთურნი მას პირველსა უძვირესისა,

სხვათ დიდ-ბორცოს მტირე მათი უმეტესია....
დავარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,

ჭქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი,—
გვძლივს სოფელმან ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შუენი.

II

დაუდგრომელის მწყემსისა და კეთილის მწყემსისათვის

კობლე და სლოე.

კობლე.

სლოე! რაა მაგრე მატო ტარება?
ანტაღა თუ მომასვლი ხან დღესა მე...
მოგედ, სლოე!.. კობლე არ გებრალება?!
ნუ თუ გული შეგაძვალა როგორმე?

სლოე.

ხეზად, კობლე! არ გესმისა ბუღბული?
ვით საამოდ ჭვალბოს, ოჭე მის უსული!
აქ აღარ ვარ; მან მიმოტაცა გული...
იჭნებადა ესთა რამე საამე!..

კობლე.

სლოე, სლოე! შენ მაგ ხმასა საამოს
მანად ისმენ დიღასა და საღამოს,
მაგრამ ვი კვლავ არა მასსოვს ანტა რას,
რომ მაგისტვის მომშობრვადე საღამე.

სლოე.

ეჭა კობლე! ასე ტკბილად კვლავ ოდეს,
უმღერნია რომელ საღამე გასსოვდეს!
გესმის ვით ჭეუფს... გვტონებუ ქვასაც აღბობდეს...
ნეტა არ ჭსწუჯენ ეს ხმა ანტ დღე, ანტ ღამე!

კობლე.

მე არ ვტონებუ მას ხმა მეტი ეხინოს,
მაგრამ... ანუ მეცა რასთვის მეწუენოს,
ხემსს იგი გირჩევნია,—გერჩივოს...

შეგვსტით და რაჭ! რაღა მარტებს აწ ვამე?!
წარვედ მასთან... იგი ხემებ არ ჭსწობილდეს,

არ გაწალოს რომ მისი ხმა მოგწუენდეს,
მან დაგასწავს უდგრომლობა, დაჭვინდეს
და გაწამოს, ვით აწ შენ მე მწამე.

კობლის მომდენცია

ერთი უბედური ადგილია და შარშან, თუ არა გრდე-
ბით, იმ ადგილს ერთი ბედნიერი მეტყვე (აქსიჩი).
ყოფილა გლეხთა საუბედურად. უმუშავია საწყალის
გლეხობის ბედსა და ის მეტყვე იქილამ სხვაგან გადუყუ-
ნიათ. გასარებულს გლეხობას პირ-გვარი გადუწერია
და ღვთისათვის დიდი მადლობა შეუწირავთ. ამ მეტყვე-
ზედ უწინ იმავე ადგილას თურმე ერთი ღვთის-რისხვს
მეტყვე ყოფილა, ამ გადაყვანილს მეტყვეზედ უფრო
ურჩესი. გავარდნილა ხმა, რომ ის უარესი ისევე აქ გად-
მოჭვავთო. გლეხობას ელდა სტემია. ვისაც ებ ამბავი
გაუტონია, უთქვამს: დემეტრე ნუ ქმნასო, ძლივს მოვ-
შორდით იმ ღვთის-რისხვასა და ნუ თუ ვიდევ იმის
ხელში ჩავტვივითო. ზოგი ამბობდა: ნუ თუ ვის გავე-
ყარებით და ვუის უნდა შევეყარეთო. ზოგმა ვიდევ
სთქვა: ტყუილია, განტებ ამბობენ, იცინა რომ ღვთის-
რისხვასა და გვცდიან, აბა რას იტყვიანო. იმას აქ მოსვლას
ვინდა აღიწვებს, აქედამ შეტრსტენილი გაავდესო. ზოგი
ვიდევ დემეტრეს ევედრებოდა: დემეტო ეს ხმა სიზრმად
გადასტვიე, აგებ გამტყუენდესო. ერთის სიტყვით დიდი
და პატარა გულ-დაჯერებული იყო, რომ ან კაცი და ან
დემეტრე ამ უბედურებას მათ თავზედ არ მოიყვანს.

ავი უმტყუნა საწყალს გლეხობას იმედმა და მართ-
ლას ის ღვთის რისხვა მეტყვე ვიდევ თურმე იქ არ მი-
ვიდა!...დასწყვლათ წულები გლეხებს, გაუანლდათ უწინდელი
რბევა, ტემ და სუსნი. წინედ რომ იყო აი რა კალა
გაღეწა საწყალის გლეხების თავზედ:

1) ერთს მ. . . . ს გლეხს, დაბახიშვილს ხუთმეტრ
თუმანი წაართო, იცით რისთვის? ამ დაბახიშვილს თვი-
სი თავლას დაუმღას და მუზობლისთვის მიუყიდნია ოცდა
ათ თუმანად. მეტყვეს შეუტყვია და არ ვინ ცდის რა
უფლებით, რისგამო და რისათვის ამ თულის ნახევარი
თვით წაუერთმევიან.

2) ერთხელ გ. . . . ი გლეხი საჭქისა ფირყულავი
თავისის მამით მოდენილა პ. . . . ს ბოლოზედ. საში-

ნელი სიცივე უფილას, ყურები ხელდასრულით ქსანისათ
სველად, უბეში ხელები ქსანისათ. გაჭსწერ-
მით ღმერთი და ის ღვთის-რისხვას მეტყველებ
მეტყვით მისის ამაღითა. საწყალ გლეხებს უბიძმ
ხელების გამოცემა დაჭსწერობით და ქუდი ან მოუსდით.
აქა და ქუდი ან მომისდით, მიუყენებია მხლებელნი
და მათთან სულ ტუტა უდინა. შვილს თვისი ტვივი-
ლი დავიწყების რადგანაც თავისას მოხუცებულის მამის
ცოდვით იწოდა თურმე. ბოლოს ღმერთი მოჭტონების
განთ-მოყვარეს მეტყველებ და თავი დაუხებობია.

3) დიაკონს ალექსან ბაქრაძეს რატომ ქუდი ან
მომისდით ამისთანავე დღე დაყენა რუქმე.

4) გ. წ. ს მამასხლისს ელიოზ სხი-
ტაშვილს თავ-პირი დამტვრია. ხოსიტაშვილი თავ-
სისხლანთ წასულა და უჩივლია მთავრობის წინაშე, მაგ-
განმ დღეს აქამოდე თვით ნაცემს ან იცის საქმე ხა-
ფუხეხდა, თუ ქსწარმოებს.

ეს უნარი თურმე ესტაც თან მოჭყვას. 1) მოვიდა
თუ ანა, მამინვე თვისი ერთგული „ობეხიკი“ გ.
შვილი, როგორც გამცდელი ვატი, გავსანა თვის სა-
ხელად სოფელში მ. მოყვარებულნი ს. მდე და
თხუნიით ქსთხუვა, — სოფელზედ ოცი კოდი ზური, ათი
კოდი ქერი და სამი ურემი ბზე შემომავითო, ახლი
გადმოსული „ლესნიხი“ ვარა. წყარაც თვითონ უჩივებ-
ბია, სოფლის მალაზიებდამ მომეცითო. ყოველს სო-
ფელს ეს უმარხილესი თხუნი აუსრულებია. ერთს სო-
ფელს მ. ს კი მარტო სამი ურემი ბზე მიურთმე-
ვია, სხვა კი დავითო. ბოლოს კი ამ სოფელს მ-
ლიან უნანია, ნეტავი ყველა, რასაც გვთხოვდა, მიგვერთ-
მია. გამწყვალა მეტყველებ ამ წინ დაუხებდა სოფელზედ
და სამინლად გადაჭვიდებია. უბანებია „ობეხიკებისთვის,
ვის კარზედ ფიხნი ნახათო, ან ტყვიდამ მომავალი შეგხ-
დეთ ვინმეო, აწერეთ და სია აქ წარმომიდგინეთო. ან
გასულა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და იმ უბედურს
სოფელს მ. ქსწავიას „ობეხიკი“ მ. დ. მე,
მოგურავების „ბოლესობიკი“ და მეტყველისგან ბოძე-
ბულის სიის ძალითა უკლია კარ-და-კარ და ურბევის სა-
წყალი გლეხობა. ვის კარზედაც თურმე ფიხნი ნახეს,
იმას ურემზედ ორი და ათი შური წართვეს, სიაში ჯა-
რმად ეს გაწერია. ერთს გლეხს მუხანიშვილს თორმე-
ტი მანეთი წართვეს. ამ საწყალს სოფელს მ. ს
საქმე ისე გაუჭირა ამ „ლესნიხის“ თურმე, რომ კენახე-
ში ხეხილი უჭირათ და იმით წასულან იოჯად.

2) საფიხნეში ან ვინ იცის საიდგან ცუცხლი გა-
ჩენილიყო. მეტყველებ ეს ამბავი დაუბრუნებია ოთხ-კომლ
ყუშიტაშვილებისათვის და ოთხიგუსათვის ოცი თუმანი
ჯარიმა წაურთმევია.

3) ერთი თათრისშვილის მენახივე თათრისშვილის წლის

ბიჭი დაუბრუნებია „ლესნიხის“ და შიგ სოფელში, სცა
მთელი საღის იყო შეყრილი, გამოურცხადებია რომ თორ-
მეტი მანეთი ჯარიმა დაგადეო და უნდა მოიტანო.
ბიჭი მაგარზედ დაჭსწერობია. „ლესნიხი“ გაბრუნებულა,
ბევერი უყვირის და ბოლოს დაუმწყვდევის საწყალი ბიჭი
გომში და მეორეს დღეს კი ბიჭს ძალა უნებურად უყისრნია
ჯარიმა და მიურთმევია. ეს მთელმა სოფელმა იცის.

4) ამ წლის მარტში სოფელს ს. დაიბარა
სიით ვაცები და ერთს იავოც საღამაზოვს რვა თუმანი
ჯარიმა დაადო. აქედ ეცა საღამაზოვი, იქით ეცა და
ბოლოს თორმეტს მანეთს დააჯერა „ლესნიხი“. ამვე
დროს მამასხლისს უბრძანა ერთი ურემი ბზე ემოვნა
და ლესნიხისათვის მიურთმია სახლში. მამასხლისს დაუ-
ყოვნებლოვ დასრულა ბძანება.

5) „ლესნიხის“ მხლებელს გ. შვილს მიურთ-
ნია წელს აზრდში ერთის სოფლის კაცისათვის ლესნი-
ხის ბძანება, სადაც ქსწერდა: მე შენ გაბრძანებ, რათა
დაუბრუნებოლოვ წართვა ჯარიმა გლეხს ჯამალაშვილს
ქვეს თუმან სახეკარი და ოთხი აბაზი, მეორე გლეხს
გიგლა მეგრიშვილს ოთხი თუმანი და ორი აბაზი,
სოლო მესამეს თომას კველიშვილს მანეთი და ათი შუ-
რი, რადგანაც მაგათ მოუჭირათ ზომასზედ მეტი ხე-
დაშინჯეს ობეხიკებმა ხეები და აღმოჩნდა გლეხების
სიამრთლე, მაგრამ თითო ბატანს და სხვა და სხვა ნო-
ბათს მანინ ვერ გადაურჩნენ.

6) ერთს დორეულს ფშაველს დაყენა ს. ს
ტყეში ე. წ. ს გომებთან ხუთმეტი სული
ძროხა საბაღზედ ლესნიხის ნება-რთვითა. წინავე, რა-
საკვირველია, საბაღზედ ლესნიხი გამოართო. ბოლოს
წასვლის დროს შანი მოულო, შენ ტყეში ნეკერი გიჭ-
რიაო და ქვეს ძროხა წართო. ცნა ძროხადა წაიყვანა
შინ საწყალმა ტირილითა და თავში ცუძითა. ეს ამბავი
მთელმა სოფელმა ს. მ იცის და უკვირთ ამ საქმემ ესე
როგორ ჩაუარაო მეტყველებს. ფშაველს საჩივრისა შე-
შინებია და ეს უმცხავსო საქმე მთავრობისათვის ან
მოურხებია.

7) სოფელს მ. ში მეტყველის იქ ყოფნის დროს
გლეხმა ჩინლაშვილმა, რომელსაც ორი მანეთი უნდა
მიეცა მეტყველისათვის, ეს ორი მანეთი ობეხიკის თურმე
ჩაბარა. ბოლოს „ობეხიკის“ უანი ეყო და როცა გლეხს
გიდეკ თავისი ეთქვა, მამინ თვით მეტყველის წინაშე
„ობეხიკის“ ორი ლაზათიანი სილა გრტვა გლეხისათვის.
მეტყველებს გიდეკ ცნა მანეთი ჯარიმა წაერთმია საწყლი-
სათვის, ხუთმან ტყუილი როგორ გაბედო.

აი რა ამბავია ჩვენს მხარეზედ. საწყალი გლეხობა
შეჭურებს ცნას და იმის ღოდინშია, რომ დღესა თუ
ხვალ იქიდან მანინ შვეს და ღებნა მიეცემა. გატყავდა
ისეც გატყავებული გლეხობა ამის ღოდინში!...

წერილი აბთარაშვილიძე

1877 წელს 2 აპრილს.

თუ არ ვცდები, ვერ ხეხის მწერლობაში სრულყოფილით არა თქმულა რა შესახებ საქიმო გურსებისა, რომელიც აქ ქალბისათვის არის დაარსებული. ამ გურსების ვითარება და გარემოება დაწვრილებით ვიცი. ისიც ვიცი რა რიგად საჭიროა ქალი-ექიმი საზოგადოდ ყველგან და უნამეტნავესად ხეხიში, საქართველოში. მე ვამბობ: ნამეტნავად საქართველოში, რადგანაც საქართველოში შედარებით უფრო ბევრი უბედურება ხდება ხალხე მარტო იმისგანა რომ სწული, აკად-მეოთე ქალი მორცხობს და არ იწვევს მამა-კაცს ექიმსა. მე ხეხიში ვამიგონია უგანსხვანელს დღეში მეოთხის მშობიარის ქალის ქმრისაგან: "რაც უნდა ღმერთი გამოწეროს, ექიმს არ მოვიყვან, ცოლს არ გავასინჯებო და საქვეუბოდ თავს არ შევირცხებო". თუნდა ქმარი დაჯეროთ, თვით აკად-მეოთხს ანუ მის მასლობელთ სშირად ვერას გზით ვერ დაითანხმებთ, რომ ექიმს უხვევოს, გაასინჯოს სატყვივარი. ექიმი ქალები რომ იყვნენ ეს მკვლავითი აღარ იქნებოდნენ და ვინ იცის რამდენი სული დაისხნიათ თავის-თავს უღროლ სიკვდილისაგან. ქალი ექიმ-ქალს არ მოერიდებოდა, რადგანაც აქ მორცხობას ადგილი არ ექმნებოდა.

დრო იყო, როცა ექიმნი მამა-კაცნი და მათთან ერთად თვით საზოგადოებაც ამბობდნენ, ქალს ექიმად ყოფინისთვის არც საჭირო ღონე აქვსო, არც მხსობა და არც ნიჭიო. ამ მიზეზით ქალს ექიმობის სწავლის გზას უხშობდნენ. წარსულს ვინა ჰსხივას, უბედურება ის არის, რომ ამ ყამადაც ისმის მკვლავითი სმა, რომელსაც არც წასწულს დროში, არც წინაღულში საბუთს ვერ უზოვიან. ვერ ისევე ძველ დროს, როგორც ჰსხანს "იღლია-დიდამ და ოდისიადამ" ძველს საბერძნეთში ყოფილან ქალები მკურნალობაში სახელ-ვათქმულნი. შემდეგ საბერძნეთის მთელ ისტორიაშივე იმხენებთან სამკურნალო მეცნიერების მცოდნე ქალები: ოლიმპის ტუბასილი, ანოდისი და ასპასია, რომელმაც დასტოვა რადენიმე თავისი საქიმო თხზულებანი. მეოთხთმეტე საუკუნეში იტალიაში, ვალენტიანო, ჰსცხოვრებდა ექიმი ქალი აბულა, რომელმაც ავრეტე დასტოვა ჩინებული თხზულებანი ლათინურ ენაზე. მეხუთმეტე საუკუნეში იტალიაშივე ბოლონის უნივერსიტეტში იყო პროფესორად ექიმი-ქალი დოროტეა ბოკინი. მეხუთმეტე და მეექვსმეტე საუკუნეებში საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიებშიც იხსენებენ ექიმი ქალები. წარსულ საუკუნეში ბოლონის უნივერსიტეტში კიდევ იყო ქალი ანა მობანდი მაცნოლისი ანატომიის პროფესორად. თუმიცა შესალოა კიდევ რადენიმე მაგალითის მოყვანა, მაგრამ მე მგონია, შემოსხენებელი მაგალითებიც საკმაოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ქალებს ჰქონათ მიდრეკილება ექიმობისადმი და კიდევაც შექსძლებათ ექიმობა.

იტალიამ პირველმა გაუხსნა გზა ქალებს უნივერსიტეტებში, მის მეტე შეიწინააღმდეგებამ, საფრანგეთისა და იტალიის 1871 წელს დიდის ვაი-გვლანით ინგლისმაც. რუსეთში პირველმა ქალმა—უფ. კამეაროვამ 1869 წ. დასწრულა გურსი პეტერბურგის საქიმო აკად-

ემიაში და მის მეტე ნება არა ქალისთვის არ მიუციათ აკადემიაში ლექციების სმენისათვის. მხოლოდ ამ აკადემიის პროფესორმა უფ. გრუბერმა მისცა ქალებს ნება ანატომიის სწავლისა და ამაში თვითონ გრუბერი ხელთ-მძღვანელობდა მათ. ამ ყამად შემოსხენებულ სახელმწიფოებში ბევრი არიან ექიმი ქალები, რომელნიც შრომობენ საქიმო ასპირანტურაზე. რუსეთში ვერ სულ არიან არიან: შემოსხენებულა უფ. კამეაროვა და სუსლოვა. უგანსხვანელს ექიმობა შეისწავლა ციურისის უნივერსიტეტში. ორნივე პეტერბურგში ჰსცხოვრებენ და მრავალს ჰქუენსამენ ქალთა შორის, რადგანაც მრავალი სწული ქალნი მათ იწვევენ საქიმოდ.

1872 წ. აქურ საქიმო აკადემიაში დაარსდა ქალბისთვის საქიმო გურსები. ეს გურსები დაარსდა რადენიმე კერძო პირების მეცადინეობით და სამხედრო მინისტრის უფ. მილაუტინის თარხნობით. ამბობენ ვითომც ამ გურსების დადგენისთვის 50,000 მ. შესწირა ერთმა ციმიარში მცხოვრებმა ქალმა, რომელმაც არ ისურვა თავისის სასკლის გამოცხადება. პირველად ამ გურსებს ის დანიშნულა ჰქონდათ, რომ ოთხი წლის განმავლობაში უნდა მოემზადებინათ ნასწავლნი ბუბია ქალები (ученные акушерки). ამ დანიშნულებისა დაგვარად შემოსხენებულს გურსების სქემაში მიღებულ იქნა თითქმის ყველა საგნები, რომლებსაც ასწავლიან იმავე აკადემიის სტუდენტებს, მაგრამ უმეტესი ყურადღება იყო მიქცეული ბუბიაობისა და განსაყუთრებით ქალების სწულებასზე. ამ გურსების წესდებულებით ნება ჰქონდა გურსებში შესკლის ოღონდ იმ ასწავლნად ქალებსა, რომელნიც წარუდგენენ მოწმობას ქალების გიმნაზიის, ანუ ინსტიტუტის დასრულებისას ანუ შინაურის რესტორობის მოწმობასა (свидѣтельство на домашнюю учительницу). ამის გარდა უნდა დაეჭირათ ეგზეციენიები არითმეტვიდამ, გეომეტრიდამ, ალგებრიდამ, ისტორიიდამ, გეოგრაფიიდამ, რუსულისა და ფრანციურლისა, ანუ ნემეტურის ენებიდამ. მხოლოდ გეომეტრიის და ალგებრის ცოდნას თხოულობდენ უფრო ვრცლად ვიდრე ასწავლიან ქალების გიმნაზიებში, დანარჩენის შემოსხენებულს სასკლის ცოდნას ვი ქალების გიმნაზიებს სქემის ოღონათ. გამოცხადდა თუ არა გასკოტებში ამ გურსების დაარსება, ქალებმა გაუსწავლეს სიხარულით მიიღეს ეს ამბავი და სმის თვის განმავლობაში 130 თხოვნა შემოიტანეს სასწავლებლად მიღებისათვის. ამ რიცხვიდამ, ეგზეციენების შემდეგ მიიღეს 87, თუმიცა გურსების მმართველობა პირველ წელიწადს სამოცდა-ათზე მეტის მიღებას არ აზირებდა. ლქციების ვითხვა დაუწყეს ზოგიერთმა პროფესორმა აკადემიისამ და ამათ გარდა რამოდენმა აქურმა გარეშე ექიმთაცა აკადემიისვე აუდიტორიებში, მხოლოდ ვი იმ დროს, როცა ეს აუდიტორიები თავისუფალნი იყენენ სტუდენტებისაგან. ქალები ვალდებულ იქმნენ ლქციების სმენისათვის ყოველ წელიწუთი თუმიანი შეეტანათ. პირველ ორ გურსში მათ უკითხვდენ ანატომიას და სხვა ბურების-მეტეველების მეცნიერებასა ისე, როგორც იმავე აკადემიის სტუდენტებს. დანაშთენს ორს გურსში ვი ასწავლიდნენ საქიმო საგნებსა, რომლებიდანაც უმეტესს ყურადღებას აქცევდენ ბუბიაობას

და განსაკუთრებით ქალების სწეულობის მეურნეობას. რიცხვი მოსწავლეთა მსურველთა ამ კურსებში ყოველწლიურ მატულობს, მაგალითობრ 1873 წ. 88 ქალი მიიღეს, 1874 წ.—90, 1875 წ.—94 და 1876 წ.—145. წელს ყველა კურსებში სულ 430 ქალია.

ზირველი კურს-დასრულება ნასწავლის ბებიების უნდა ყოფილიყო შარშან მისში. მაგრამ შარშან მარტში გამოვიდა უმადლესი ბმასება, რომ 1) ეს კურსები აკადემიადამ გადატანონ აქაურ ნიკოლაევის სამხედრო სამკურნალოში, 2) მიუმატონ მესხეთე კურსი, 3) კურსს გათავსებულ ქალებს აძლიონ დიპლომი, რომლის ძალითაც მათ ჰქონდეთ ნება ბებიანობისა და ამის გარდა ქალების და უმწველეთა სწეულობის მეურნეობისა, 4) კურსებისთვის საჭირო ფულები ყოველ წლივ აძლიონ სასჯელმწიფო ხაზინიდან და 5) კურსები დასტოვონ სამხედრო მინისტრის მხედველობას ქვეშ. შარშან ზაფხულში გამართეს კურსებისთვის ნიკოლაევის სამკურნალოში სასტუმრის თეატრი,*) აუდიტორიები და სხვა ყველა საჭირო მოწყობილობა, და რაქტამბერში ქალებმა იქ დაიწყეს ლექციების სმენა. წელს მოუმატეს კიდევ ორი-სამი საგანი სასწავლებლად. ლექციებს უკითხავენ თითქმის იგივე პროფესორები და ექიმები, რომელნიც ადრე აკადემიაში უკითხავდნენ. პირდაპირი გამგე კურსებისა ესლა ნიკოლაევის სამკურნალოს უფროსი ექიმი, ამის გარდა ქალებზე შედამხედველობა აქვს ორს ინსპექტორსს. ამ ყამად მესხეთე კურსში 60 ქალია. დასასრული ეგზამენიები მათთვის დანიშნული იყო ამ მისში, მაგრამ მერმე გადადეს სექტემბრამდის. როგორც გავიგე პეტერბურგის სამკურნალო მარხის ინსპექტორი თურმე ცდილობს, რომ ამ კურსებში კურს დასრულებულ ქალებს მიანიჭონ ყველა ის უფლება, რაც მამაკაცთ—ექიმებს აქვთ.

უმეტესს ნაწილს კურსების მსმენელთაგანს სასლიდამ 20—30 მანეთამდე მოსდის. იმისთანებიც არიან მათ შორის, რომლებსაც სასლიდამ ფულები სრულყოფითად მოსდით და ცხოვრების სასარსს მოუფლობენ მით, რომ სხვებს სასწავლიან და ამში ფულს იღებენ. ამ ყამად ოცდა ათამდე სტიპენდიებია დადგენილი ზოგი კრძომა პირებისაგან და ზოგი სხვა და სხვა გუბერნიების კრძობისაგან. გარდა ამის ორი სამი წელიწადის რაც შესდგა აქ ერთი საზოგადოება, რომ ღივ შეძლებისადაკვანად ესმარება ღარიბთა მოსწავლეთა ქალთ,—მით რომ ზოგის მაგიერად თვით საზოგადოება ისდის წელიწადში სუთს თუმანს ლექციების სმენისთვის დანიშნულს და ზოგს მოსწავლე ქალს თვე და თვე ფულით შემწეობას აძლევს.

ქართულ-ქალებთან ვერ არავინ არ არის ამ კურსებში, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ ორი ქუთათური ქალი თურმე ამ ყამად აქ კურსებში შესასვლელად ემზადებიან.

ი. გ—ძე.

*) ოთხი, რომელიც არის დანიშნული მკვლქების სატრეკლად და ანატომის სასწავლებლად.

ქალაქის სცენებისაგან

მუშტი-კრივის მოამბენი

ბა.ბა.ბა...ბა! რა მუშტი-კრივი იყო თქვენი კირიმე!

— ეგ სადა, ძმაო-ჯან?

— აი მახათისკენ, კვირა ცხოველთან რომ ხევი. ასეთი მუშტი კრივი იყო, ასეთი, ასეთი, რო...ო...ომ რალა ვთქვა! მთელი ქვეყანა იქ იყო, შენ გეძინა?

— მერე გაიმართა, ჰა?

— ო...ჰო...ჰო...ჰო...ჰო! გაიმართა და რა გაიმართა! გაიმართა, გაიმართა, რომ რატო არ გაიმართა! მოვიდა შენ ხარ ჩემი ბატონი ქვემო უბანი, მოვიდა ხალხი, მოვიდა ხალხი, რომ ნემსის კუნწი რა არის, ნემსის კუნწი არ ჩავარდება. ახლა მოვიდა ზემო უბანი, მოვიდა ხალხი, მოვიდა ხალხი დასტადასტა, რომ შე...ე...ნი კირიმე!

— მოვიდნენ და მალე გამართეს კრივი რალა?

— გამართეს, ალა-ალა იყო? ჯერ თავი ბიჭები უნდა გამოსულიყვნენ. ზემო უბნიდამ მთაწმინდელი ბიჭები გამოვიდნენ, ქვემო უბნიდამ ყასბები. მაგრამ ჯერ სადა ხარ, ბევრი ლაპარაკი იყო.

— მე კი არ ვიცი! მუშტი კრივის ხეირი წავიდა!.. რალა კრივია? შეიყრებიან, ერთი საათი ყაყანი აქეთ; რის კრივი, რის ამბავი? ერთმანერთს ლანძღვას დაუწყობენ. მერე ჯიბის ოსტატები შემოძვრებიან და დავი-ღარაბა ატყდება. ჰეი გიდი, სად არის ძველი მუშტი კრივი! განსომთ, მაგრამ სად გეხსომებათ, ქალაქში რომ ქვის კრივი გაიმართა? ზემო უბნელების თავი მუხრანიანთ არჩილი იყო და ქვემო უბნელებისა ყორხმაზი. ასე დაენაძლიენენ და პირობა დასდევს: ვინც დამარცხდესო, იმისი სახლი აიკლონო. მოვიდა ყორხმაზი, მოეყენა თურმე ბორჩალოს თათრები, თავისო ყმები; გაიმართა კრწანისში კრივი. გაიმარჯვეს ქვემო უბნელებმა და გამორეკეს ჩვენი ზემო უბნელები. ასეთი ქვის კრივი გაიმართა რომ შენი მოწონებულნი. ხალხი რომ გენახა, ლომებათ გადაიქცნენ. კედლებზე კატებსავით აღიოდნენ, ბანების ლაბიარებს აქცევდნენ და წვიმასავით ქვა და აგური მოდიოდა. ქვითკირის კედლებიდან აგურებს აძრობდნენ. მოვიდნენ სიონ ზემოთ. ქურქჩინასთან აფთიაქი იყო, სულ აფთიაქი აიკლეს; ქურქჩინანაში და შუა ბაზარში რომ ხალხი ამოვიდა, ასეთი ქვის სროლა გაიმართა, რომ იმის ზემო და ქვემო ქურჩეშიაც კი ქვა ცვიოდა.

— ვახ აი! რა იქნებოდა!

— სალავბოზე გარეკეს, ანჩის ხატამდინ მივიდნენ მოკრივები რალა. ის ის იყო მუხრანიანთ სახლს მიახლოვდნენ. მთავრობამ ჯარი გამოგზავნა და სახლთან დააყენა, რადგანაც რომაო ყორხმაზი მუხრანთობსო და ქალაქის გარე-

დამ თათრები მოუყვანიათ, ჯერი არ არისო; როგორ შეიძლებაო. არჩილის სახლი გადარჩა. თორემ, თორემ წასული იყო იმის საქმე. აი რა მუშტი კრივი იყო!

— ეს ეგ დიდი ხნის ამბავი ყოფილა.

— არა, ეს გუშინდელი ამბავია, ვარანცოვის დროს იყო. იმაზე წინათ, მეფეების დროს, უფრო დიდი მუშტი კრივი სცოდნიათ. სალდასტათ ხის ხმლებით რალა, კრივი სცოდნიათ. ყველიერებში ასეთი ამბავი იქნებოდაო, რომ რალა მოგახსენოთ.

— ტა. ტა..ტა..რა იქნებოდა!

— ეხლანდელ თქვენ მუშტი კრივის ეგვანებოდა! აბა რა მუშტი კრივია? ორი კაცი გამოდიხართ, ერთმანეთს მუშტს უჩვენებთ და გაბრუნდებით. მუშტი კრივი ასეთი უნდა, რომ ერთმანეთს ლამაზათ ძელები დაურბილოთ. აი ჯან მუშტი კრივი!

— მერე რა იცი, რომ მაგისტანა კრივი არა გექონდა?

— აბა თქვი, შე პლუტო, ვინ იკრივია? ტყუილი არა თქვა ჰა!

— ჩვენი კიკოლა გამოვიდა, მგელას რომ ეძახიან.

— მერე?

— მერე გამოვიდა ზემო უბნელებიდან. ჯერ არ გამოდიოდა. გადაეკიდნენ, ჰაი გამოდი, ჰაი გამოდიო? ადგა და გამოვიდა. მგელა ხომ გინახამს?

— არა

— ასეთია, რომ რალა გითხრა! ტანადია, მაღალ-მაღალი, მხარ ბეჭიანი, ასეთია რომ ჰ...მ ერთი რომ შეხედო, გეგონება, მთააო. გამოვიდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მგელა და დადგა: აჰაო გამოვიდვარო. დადგა ლამაზათა და დგას. ძლივს ჩოხა გახადეს. თავი დამანებეთო, რა გინდათო, ხელს არ აიღებთო? აღარ აღაპარაკეს, გააძრეს ჩოხა და წაიღეს. ახლა დგას ის ჩვენი მგელა და ულვაშებს ისწორებს, გადასვა იდალოცვილი მარჯვენა ხელი ერთ ულვაშზე, გადმოსვა ახლა მეორე ულვაშზე და იძახის: გავიდეთ, გავიდეთ? ჰ...ჰ... გავიდეთ! გასვლით გავალო, მაგრამ მაგარი ესაო, ვაი იმის დედსაო, ვინც კი შემხედებოდა და ვინც ჩემს ლიტრიან მუშტებსა ნახამსო! ახლა დგას და უყურებს. რომ არ დადგა, ისე დგას და გადასდგა ფეხი, რომ მოვდრეწარო. ახლა რა გადასდგა ფეხი და მოდის რალა.. უნდა უყურო, თუ როგორ მოდი! გამოვიდა შენ ხარ ჩემი ბატონი და მიდის რალა. ოო არ წამოვიდა, მოდის და მოვიდა. წამოვიდა, წამოვიდა დამისვლაზე რალა! მიდის და ულვაშებს ისწორებს, რომ არ მოდის, წამოვიდა წამოვიდა და რომ მიდის, და მიდის; წავიდა ახლა წავიდა და მიდის—მიდის, წავიდა და ხალხს შეერია!

— მერე?

— მერე და მერე. ხალხში შეერია, ველარა ვნახე!

1875 წ.

ანხისსატისუხელი.

სამი თვის ანგარიში

ივრის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა 1-ის იანვრიდან 1877 წელს ამავე წლის 1-ს აპრილამდე.

შემოსავალი:	მან.	კან.	გასავალი:	მან.	კან.
წილის ფული 123 წევრისა	1756	10	გასესხებული	202	50
ნასესხი თბილ. საურთ. ნდობ. ბანკ. ზიკველათ.	500	„	საწევრო შესატანი თბ. საურთ. ნდობის ბანკში	400	„
მეორეთ.	500	„	დაბრუნებული ნასესხი თბ. საურთ. ბანკში ზიკ.	500	„
ნასესხი ამსანადგვან.	400	„	იქვე სარგებელი მეორედ ნასესხისა. . .	25	83
წმინდა მოგება	25	29	სამართკვლავს სარჯი	6	15
სათადარიგო თანხა	2	87	წილის დაბრუნება	25	„
სარგებელი წინეთ დაჭერილი სესხების დროს	97	51	სარგებელი კადაზედ წინ გადასდილი ფულისა	1	90
სარგებელი დაჭერი ასალი კადის მიტემის დროს	1	25	კასსადი აწის.	154	33
გეგმის ქაღალდებისა	2	79			
ჯარიმა	„	60			
დაბრუნებული ნასესხი	728	10			
აწის გეგმის ქაღალდები	1	20			
ჯ ა მ ი	4015	71	ჯ ა მ ი	4015	71

წევრი გამგებლობის: ა. ცხველაძე, მლ. თევ. გულისოვი, აზარია დიაროვი.

გ ა ნ ც ხ ა ჯ დ ე ბ ა

ტფილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საადგილ-მამულთა ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ უმაღლესად დამტკიცებულის ბანკის წესდებულების ძალითა 25 მაისს 1877 წელს დღისით, 12 საათზედ ტფილისში, თვით ბანკის სადგურში გაიფილება უპერტორუკოდ ქვემოხსენებულთა პირთა უძრავი ქონება იმის გამო, რომ ამ პირთა შერტყანათ ბანკში აღებულის სესხის მსუდგრი შესატანი, დადგინებული წესდების 29,30,34 და 35 მარტავებუითა.

სახელი და გვარი მათი ვისც უძრავი ქონება იყიდება.	ადგილი საცა ქონება იმყოფება..	რა გვარი უძრავი ქონებაა.	აღებულის სესხის თანხა.		აღებულის სესხის თანხა უკველ-გვარის შემოსავლისათვის.	
			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.
1 შემიკინია, ალექსი ივანისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 3 ნაწილში. ორბელიანთ ქუჩაზე № 271.	ერთ სართულიანი (კლავიანი) ქვითკირის სახლი, მის ქვეშადგობი 235 ოთხ-კუთხე საყენი. . .	1,743	53	1915	52
2 ტერ-მიკიტინიანც, ქრისტეფორე ნიკიტის ძე.	ტფილისში II განყოფილებაში, 12 ნაწილში ნიკოლაევსკის ქუჩაზე.	სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი უკველ-გვარის შესობითა, მის ქვეშ ადგილი 634 ^{1/2} ოთხ-კუთხე საყენი	79,427	7	83,833	52
3 სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული.	ტფილისში I და II განყოფილებაში, 7 და 14 ნაწილში.	თორმეტი ერთ სართულიანი, ორი ორ სართულიანი და სამი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქნები	17,582	73	17,944	86
4 ადამაშვილი გიორგი ჭიტუას ძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ეზოს ადგილი 90 ოთხ-კუთხე საყენი და მასზედ მდგარი შესობანი	270	—	330	40
5 სტეფანოვი, გეორგია.	ტფილისში, II განყოფილებაში, 2 ნაწილში.	ცარიელი სასახლე, ადგილი 300 ოთხ-კუთხე საყენი	1200	—	1,349	44
6 ალექსეევი ანტონ იაკობისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 37 ^{1/2} ოთხ-კუთხე საყენი	600	—	670	44
7 ყარაჯოვი, ივანე სტეფანესძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 9 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 52 ოთხ-კუთხე საყენი	500	—	575	4
8 მამუკიანცნი, ბაგრატი და ალექსი გეორგიაძე.	ტფილისში, III განყოფილებაში, 13 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 143 ოთხ-კუთხე საყენი	1000	—	1087	40
9 განგებლოვისა, აგრინა ვასილის ასული.	ტფილისში, II განყოფილებაში, 14 ნაწილში.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი საზღაფებით და მის ქვეშ ადგილი 69 ოთხ-კუთხე საყენი.	800	—	914	76
10 კვასიაძე, ივანე გიორგისძე და ზარიძე გიორგი თამაზისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	სასახლე ადგილი 224 ოთხ-კუთხე საყენი	300	—	357	72

			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.	
11	კორღანოვი, მეჩხე ზაქარიაძე.	ტფილისის გუბერნიას- ში, ტფილისისკე მზრ- ნაში სოფ. შავთა და ვა- ნეთი.	252 დესიატინა და 600 ოთხ- კუთხე საყენი სახსნავი, სათიბი და ტყე	3979	9	4188	39
12	ახსნაზი, მცირე წლო- ვანი ირაკლი ლექსან- დრესძე.	ტფილისის გუბერნიასში და იმავე მზრნაში სოფ. თხინჯაღი.	175 დესეტინა, სახსნავი და სათიბი, სახლითა და ბაღითა . .	5976	82	6086	35
13	გაბაევი, ანდროს მი- ხაილისძე.	ტფილისის გუბერნიასში, იმავე მზრნაში სოფ. ერ- თვასი.	406 დესეტინა 320 ოთხ- კუთხე საყენი სათიბი და სახ- სნავი მიწები, სახლითა და გუ- ნახითა	4980	68	5260	44
14	არბუღიანი, თ. იო- სებ კონსტანტინესძე.	ტფილისის გუბერნიას- ში, სიღნაღის მზრნაში, სოფ. კარდანახში.	კენახი ორი დესიატინა და 90 ოთხ კუთხე საყენი	2000	—	2098	—
15	რუსიევი-ყორნაბაშვილი, გიორგი გიორგისძე.	ტფილისის გუბერნიას- ში, ქ. თელავში	ერთსართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 1425 ოთხ-კუთხე საყენი . . .	700	—	774	68

სსენებელი უძრავი მამული გაიყიდებინათ მთლიანად, მხოლოდ თვითკუთხედ ცალკე. სათავნო ვალს ზედ
შეეგებება ბანკში ვადითი შესატანი ფული, ყოველივე სარჯი რაც ბანკს მოსულია მამულის გასასყიდლად და-
წმენისათვის და გარდა ამისა ყოველივე სასკლამიფო და სასოფლო გარდასახადის ნაშთი (недоимка) და
ეგრედ შემდგარის ჯამიდამ დაიწება ტორგი, თანხმად წესდებულების 19 მუსლისა. ამასთანავე მმართველობა
ბანკისა აცხადებს, რომ ვალის თავნი, თვითკუთხედ მამულზედ ნახვენები, შეიძლება მოშორებულ იქმნას მსუიდეკლი-
საგან გირავნობის ფურცლითა (закладной листъ), რომლის მანეთი მანეთად მიიღება და გარდა ამისა შეიძ-
ლება მსუიდეკლამ, ბანკის თანხმობით, ეკ. სათავნო ვალი თავის თავზედ გადიდოს, მხოლოდ უსათუოდ კი უნდა
მოიშოროს ნაღდის ფულით ის, რაც სათავნო ვალზედ მეტი შემოსატანი ფულია.

თუ ზიწველი ტორგი, რომელიც 25 მაისს 1877 წ. დანიშნულია, კერ მისდა და მამული ან გაიყიდა, ამ
შემთხვევისათვის მმართველობა ბანკისა თანხმად წესდებულის 22 მუსლისა, ნიშნავს მეორესა და უკანასკნელს
ტორგსა 9-ს ივნისს ამ 1877 წლისას.